„დამტკიცებულია“

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის

2013 წლის „23“ „აპრილის“ № 37-ს ბრძანებით

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ორგანოებში (შემდგომში – „საქსტატი“) სტაჟირების გავლის წესს.

მუხლი 2

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, საქსტატი უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათის საჭირო პირობებს.

მუხლი 3

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტაჟირება – საქსტატში ამ წესით რეგულირებადი საქმიანობა;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად საქსტატში ეწევა ანაზღაურების გარეშე საქმიანობას;

გ) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად საქსტატში შემოტანილი აქვს განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ.

მუხლი 4

1. სტაჟიორად მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან/და აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

2. სტაჟიორად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს საქსტატის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მუხლი 5

1. საქსტატში სტაჟირება ცხადდება საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. სტაჟიორთა მიღების ფორმა, სტაჟირების კანდიდატ(ებ)ისათვის დადგენილი მოთხოვნები და სტაჟიორთა რაოდენობა განისაზღვრება საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება 6 თვემდე ვადით.

2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით სტაჟირების ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 3 თვით.

თავი II. სტაჟირებაზე მიღება

მუხლი 7

1. საქსტატში სტაჟიორთა მიღება წარმოებს კონკურსის წესით, რომელიც ტარდება გასაუბრების ან/და ტესტირების ფორმით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში სტაჟიორის მიღება შეიძლება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით, კონკურსის გავლის გარეშე.

3. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კონკურსის ჩატარების ფორმა;

ბ) ინფორმაციას კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ;

გ) ინფორმაციას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი მოთხოვნებისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის თაობაზე.

4. კონკურსი ტარდება მისი გამოცხადებიდან არაუადრეს 10 დღის ვადაში.

მუხლი 8

1. სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და სტაჟიორთა შერჩევის მიზნით იქმნება სტაჟირების კომისია (შემდგომში – „კომისია“), რომლის შემადგელობას განსაზღვრავს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი ბრძანების საფუძველზე.

2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მოადგილის, კომისიის მდივნისა და კომისიის წევრებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, დამსწრე წევრები და მდივანი.

6. საქსტატში სტაჟირების გავლის მსურველი პირი – კანდიდატი კომისიას წარუდგენს შემდეგ საბუთებს:

ა) განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

ბ) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ (დანართი N 1);

გ) ავტობიოგრაფია ან Currculum Vitae (CV);

დ) დიპლომის ასლი/ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);

ზ) რეკომენდაცია/შუამდგომლობა (მოთხოვნის შემთხვევაში).

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბუთების წარმოდგენა კანდიდატს არ მოეთხოვება იმ შემთხვევაში, თუ კონკურსი ცხადდება

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

მუხლი 9

1. კონკურსის გამოცხადება ხდება საქსტატის ვებ გვერდის (www.geostat.ge) ან/და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განაცხადი ან კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა სტაჟირების კანდიდატ(ებ)ისათვის დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 10

ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, სტაჟიორების კანდიდატ(ებ)იდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს, კომისიის წარდგინებით სტაჟიორებად ნიშნავს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.

თავი III. სტაჟიორის უფლებები

მუხლი 11

1. სტაჟიორს უფლება აქვს:

ა) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საქსტატის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით გაეცნოს საქსტატის მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება.

2. სტაჟიორი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებითა და პასუხისმგებელი თანამშრომლის მეთვალყურეობით ასრულებს კონკრეტულ, ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეეხება საქსტატის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

თავი IV. სტაჟიორის მოვალეობები

მუხლი 12

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და დაიცვას საქსტატის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;

ბ) ჯეროვნად შეასრულოს ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალება.

თავი V. საქსტატის მოვალეობები

მუხლი 13

1. საქსტატის ადმინისტრაციული სამმართველო უზრუნველყოფს სტაჟიორისათვის საქსტატის დებულებისა და შრომის შინაგანაწესის გაცნობას და ხელწერილის შენახვას სტაჟიორის პირად საქმეში (დანართი 2).

2.სტაჟირებას კოორდინაციას უწევს საქსტატის ადმინისტრაციული სამმართველო.

მუხლი 14

1. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს შეუქმნას სათანადო პირობები პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად, განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების ვადები და კონტროლი გაუწიოს მათ ჯეროვან შესრულებას.

2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს სტაჟირებაზე დაშვებული პირის მიერ სტაჟირების გავლის შეფასება (დანართი 3) გარკვეული პერიოდულობით.

3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟირების დასრულების შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეფასების ფორმა/ფორმები წარუდგინოს ხელმძღვანელს.

მუხლი 15

სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი შეფასების ფორმის საფუძველზე გაიცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (დანართი 4).

თავი VI. სტაჟირების გავლის სხვა პირობები

მუხლი 16

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოუცხადებლობა;

ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

3. გადაწყვეტილება სტაჟირების შეწყვეტის შესახებ ფორმდება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით.

4. პირს, რომელსაც სტაჟირება შეუწყდა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქსტატში სტაჟირებაზე მეორე ვადით არ დაიშვება.

მუხლი 17

იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორი კანონმდებლობის შესაბამისად დაინიშნა საქსტატის სისტემაში, მას სტაჟირება ჩაეთვლება გავლილად და მიეცემა შესაბამისი მოწმობა.

დანართი 1

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში (საქსტატი) სტაჟირების გავლის შესახებ განაცხადი

1. სახელი, გვარი ----------

2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------

3. მოქალაქეობა ----------

4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------

5. ოჯახური მდგომარეობა ----------

6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

---

7. განათლება (როდის რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ)

როდიდან	როდემდე	სასწავლებელი	ფაკულტეტი

8. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის N

სპეციალობა	კვალიფიკაცია	დიპლომის N

9. ამჟამად სწავლობთ თუ არა, მიუთითეთ სად?

---

10. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა
დაბალი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

---

12. თქვენი ინტერესის სფეროები:

13. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული:

როდის	ორგანიზაცია – დაწესებულება	თანხის ოდენობა

14. სამუშაო გამოცდილება:

როდიდან	როდემდე	ორგანიზაცია, თანამდებობა

15. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

---

16. სამხედრო წოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შევსების თარიღი _____ პირადი ხელმოწერა_____

დანართი 2

ხელწერილი
სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი)
სტაჟირების გავლის წესის გაცნობის შესახებ

მე, ---------- ----------, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) აღმასრულებელი დირექტორის 2013 წლის ,,---------“ ,,----------“ №------ს ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) სტაჟირების გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გავეცანი სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) დებულებას, შრომის შინაგანაწესს და საქსტატში სტაჟირების გავლის წესს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

დანართი 3

სტაჟიორის შეფასების ფორმა

სტაჟიორის სახელი/გვარი	
სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს უფროსი (სახელი/გვარი/თანამდებობა)	
შეფასების პერიოდი	

შეფასების კრიტერიუმები	**დაბალი**	**საშუალო**	**კარგი**	**ძალიან კარგი**
სამუშაოს შესრულების ხარისხი				
მითითებების შესრულების და სწორად გაგების უნარი				
დეტალებზე კონცეტრირების უნარი				
შესაბამის სფეროში თეორიული ცოდნის დონე				
პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულობა				
ორგანიზებულობა				
პასუხისმგებლობის გრძნობა				
ჯგუფურად მუშაობის უნარი				
კომუნიკაბელურობა				

სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს
უფროსის ხელმოწერა ----------

შევსების თარიღი: ----------

დანართი 4

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში (საქსტატი) სტაჟირების გავლის დამადასტურებელი

მ ო წ მ ო ბ ა

N _____

ეს მოწმობა ეძლევა _____
(სახელი, გვარი)

მასზედ, რომ მან 201 წლის “ “ _____ დან 201 წლის “ “ _____ მდე

წარმატებით გაიარა სტაჟირება სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.

_____
(დაწესებულების სტრუქტურული ერთეული)

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა _____